საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2017 წლის 27 თებერვლის

დადგენილება №2349

ახალი ან არსებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებისას სასწავლო კურსის – „სისტემათა ინჟინერინგის საფუძვლები ან საინჟინრო მენეჯმენტის საფუძვლების“ შესაძლო გათვალისწინების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დაევალოს სტუ-ის ფაკულტეტებს ახალი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების ან არსებულის მოდიფიცირების დროს განიხილონ ამ პროგრამებში ტექნიკურ-ტექნოლოგიურ სისტემათა ინტეგრირებისა და მათი ოპერირების მენეჯმენტის ამოცანების შესრულებისათვის ხელშეწყობის მიზნით ერთ-ერთი (არჩევითობის პრინციპით) სასწავლო კურსის – „სისტემათა ინჟინერინგის საფუძვლები ან საინჟინრო მენეჯმენტის საფუძვლების“ გათვალისწინების შესაძლებლობა;
2. დაევალოს სტუ-ის საწარმოო ინოვაციების და ოპერაციათა მენეჯმენტის №202 აკადემიური დეპარტამენტის უფროსს, პროფესორ არჩილ სამადაშვილს დაინტერესებულ ფაკულტეტებს გაუწიოს კონსულტაცია ამ სასწავლო კურსების სილაბუსების მომზადებისას.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე